ხელშეკრულება იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში „მიკრობანკი“; ს/კ 404967078; მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია N472; მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N68, I სართული, საოფისე ფართი N2, ელ. ფოსტა: info@mbc.com.ge, ტელ.: (+995 32) 2 50 50 02; საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.gov.ge), მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.

1.2.ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებათა მისაღებად კლიენტი მიკრობანკს მიმართავს შესაბამისი წერილობითი განაცხადით (ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით), რომლითაც ის იმავდროულად ადასტურებს, რომ დეტალურად იცნობს ამ ხელშეკრულების ყველა პირობას და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ამ ხელშეკრულებას. მიკრობანკი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მისაღებად კლიენტს მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარდგენა. მიკრობანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაიწყებს კლიენტისთვის განაცხადში მითითებული მომსახურების გაწევას განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

1.2.1.მიკრობანკი უფლებამოსილია, კლიენტს უარი განუცხადოს მომსახურების გაწევაზე უარის მიზეზ(ებ)ის განმარტების გარეშე. კლიენტის მიერ განაცხადის შევსება, აგრეთვე, მიკრობანკისათვის დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ წარმოშობს მიკრობანკის ვალდებულებას, გაუწიოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე მომსახურება.

1.3.ანგარიშ(ებ)ი იხსნება კლიენტის განაცხადისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების საფუძველზე (მიკრობანკისთვის წარდგენის შემდეგ), რომელთა უტყუარობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი.

2. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეტანა და ჩარიცხვა და სხვა საბანო ოპერაციების წარმოება

2.1. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე გადახდის ოპერაციების წარმოებას (რაც მოიცავს კლიენტის ანგარიშზე შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხ(ებ)ის ასახვას, ანგარიშიდან თანხ(ებ)ის გადარიცხვას ან ნაღდი ანგარიშსწორების წესით მიკრობანკში შეტანილი თანხ(ებ)ის მიმღების ანგარიშზე ასახვას) მიკრობანკი უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე ხელშეკრულებითა და მიკრობანკში დადგენილი წესების შესაბამისად.

2.2. კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრები შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო წესით.

2.3. გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიცემული საგადახდო დავალების (შემდგომში “საგადახდო დავალება” ან “დავალება”) მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც მიკრობანკი მიიღებს დავალებას შესასრულებლად. ამასთან, გადარიცხვის ოპერაციის შესრულების მიზნით მიკრობანკის მიერ საგადახდო დავალების მიღება არ მოხდება, თუ იგი არ შეიცავს „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის N8/04 ბრძანებით დადგენილ აუცილებელ რეკვიზიტებს, აგრეთვე მიკრობანკის მიერ მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას/დოკუმენტაციას.

2.4. კლიენტი პასუხისმგებელია საგადახდო დავალების (მასში მითითებული ინფორმაციის) სისწორეზე.

2.5. გადარიცხვის ოპერაციის შესახებ საგადახდო დავალების მიღებისთანავე, მიკრობანკი შესაბამის თანხებს სრული მოცულობით ჩამოაჭრის კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან, თუმცა ასეთი დავალება შესაძლებელია ვერ შესრულდეს დავალების გაცემისთანავე.

2.6. მიკრობანკის მიერ საგადახდო დავალების შესრულება მოხდება მიკრობანკისთვის სრულყოფილი ფორმით წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.6.1. თუ კლიენტი (გადამხდელი) და მიმღები მიკრობანკის კლიენტები არიან, საგადახდო დავალებაში მითითებული თანხის მიმღების ანგარიშზე ასახვას ან/და მისთვის ამ თანხის სხვაგვარად ხელმისაწვდომობას მიკრობანკი უზრუნველყოფს საგადახდო დავალების მიღების დღეს.
2.7. გადარიცხვის ოპერაციის შესახებ საგადახდო დავალების მიღებისთანავე, მიკრობანკი შესაბამის თანხებს სრული მოცულობით ჩამოაჭრის კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან, თუმცა ასეთი დავალება შესაძლებელია ვერ შესრულდეს დავალების გაცემისთანავე, ამ შემთხვევაში თანხის ჩამოჭრა განხორციელდება საგადახდო დავალების შესრულების დღის თარიღით.
2.8. საგადახდო დავალება სათანადო წესით ხელმოწერილი უნდა იყოს კლიენტისა და მიკრობანკის მხრიდან (გარდა ელექტრონული საგადახდო დავალებისა).
2.9. თუ მოქმედი კანონმდებლობით (მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული აქტით) ან/და მიკრობანკში მოქმედი წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო დავალება ინიცირებულია არასამუშაო დღეს ან სამუშაო დღის 17:30 საათის შემდეგ, იგი მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.
2.10. მიკრობანკი უფლებამოსილია, საგადახდო დავალება არ მიიღოს შესასრულებლად ან/და უარი განაცხადოსდავალების შესრულებაზე, ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ან რამდენიმე გარემოების არსებობისას:
2.10.1.საგადახდო დავალება არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან/და მიკრობანკში დადგენილ წესებსა და პროცედურებს (მათ შორის, საერთაშორის გადარიცხვების შემთხვევაში შუამავალ ბანთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს);
2.10.2. დავალება შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებას);
2.10.3. დავალება არ შეიცავს მიკრობანკის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას, მათ შორის, მიკრობანკის მიერ ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკური შინაარსის კვლევის პროცესში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობის (ან/და მათი კანონიერების) დადგენის მიზნით მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტაციას;
2.10.4. დავალების შესრულებისათვის ანგარიშზე არსებული თანხა (შესაბამისი საკომისიოს ჩათვლით), არ არის საკმარისი დავალების შესასრულებლად;
2.10.5. ოპერაციის განხორციელებისათვის აუცილებელი თანხა ან მისი ნაწილი დაბლოკილია (მათ შორის, მიკრობანკის მიერ დაბლოკვის შემთხვევაშიც);
2.10.6.კლიენტის ანგარიშ(ებ)ის და/ან ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების მიმართ ვრცელდება სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის, თუ თანხა ექვემდებარება საჯაროსამართლებრივ შეზღუდვას);
2.10.7.კლიენტს გახარჯული აქვს ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტის ლიმიტი, რომელიც აუცილებელია დავალების შესასრულებლად;
2.10.8. ოპერაცია გადააჭარბებს ანაგრიშ(ებ)ის ან მიკრობანკის მიერ დაწესებულ ლიმიტს;
2.10.9. მიკრობანკს დადგენილი წესით არ მიუღია დავალება;
2.10.10. სათანადოდ ვერ ხერხდება კლიენტის და/ან მიმღების იდენტიფიკაცია;
2.10.11.ოპერაციის კვლევის/შესწავლის პროცესში მიკრობანკი სათანადოდ ვერ დარწმუნდება კლიენტის მიერ მოთხოვნილი ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკურ შინაარსში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობაში (ან/და მის კანონიერებაში), ან/და მიკრობანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას;
2.10.12.თუ მიკრობანკის მიერ სათანადო წესით ვერ ხდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებები) განხორციელება;
2.10.13.თუ არსებობს სხვა ისეთი ხარვეზი/გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის დავალების შესრულებას.
2.11.საგადახდო დავალების შესრულებაზე უარის შემთხვევაში, მიკრობანკი არაუგვიანეს საგადახდო დავალების შესრულებისთვის დადგენილი ვადისა აცნობებს კლიენტს აღნიშნულის თაობაზე, მიკრობანკში დაფიქსირებულ ერთ-ერთ საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნის გზით. ამასთან, მიკრობანკი უფლებამოსილია, საგადახდო დავალების მიღებაზე ან შესრულებაზე უარისას, მოსთხოვს კლიენტს დამატებით ინფორმაციას და/ან დოკუმენტაციას წარდგენა დავალების

შესასრულებლად.
2.12.კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2.13.იმ შემთხვევაში, თუ სხვა მიკრობანკის/მიკრობანკის მეშვეობით კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის საბუთში აღნიშნული საიდენტიფიკაციო მონაცემები სრულად არ დაემთხვევა მიკრობანკის ხელთ არსებულ ინფორმაციას კლიენტის შესახებ, მიმღების იდენტიფირება ვერ განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალსწინებული წესით 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიკრობანკი მიღებულ თანხას აღრიცხავს "გაურკვეველი თანხების ანგარიშზე", აწარმოებს აუცილებელ გამოკვლევას თანხის მიმღების დასადგენად და მონაცემებს შორის შეუსაბამობის გამოსწორების შემთხვევაში აღნიშნული ვადის გასვლიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, თანხას ჩარიცხავს კლიენტის ანგარიშზე, ხოლო გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თანხას დაუბრუნებს გადამხდელს, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
2.14.კლიენტი ვალდებულია მის ანგარიშზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს და 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს მიკრობანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტი პასუხს აგებს ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
2.15.ამ ხელშეკრულების 2.14 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მიკრობანკს პირგასამტეხლო 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

3. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა

3.1. მიკრობანკის მიერ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ხორციელდება კლიენტის თანხმობის, ნებართვის, დავალების, ან მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
3.2.კლიენტის ანგარიშებიდან მიკრობანკის მიერ უაქცეპტო წესით (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) თანხების ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
3.2.1.მიკრობანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად მომსახურების საფასურის (საკომისიოს) ან/და პირგასამტეხლოს გადასახდელად;
3.2.2.შეცდომით ან/და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ჩარიცხული ან/და საეჭვო თანხ(ებ)ის უკან დასაბრუნებლად;
3.2.3.მიკრობანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად (იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ან ვალდებულება დაფიქსირებულია ეროვნული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ეკვივალენტი დგინდება თანხის ჩამოწერის მომენტისათვის მიკრობანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით), ამასთან კლიენტი აცნობიერებს, რომ მიკრობანკი არ არის ვალდებული კლიენტის დავალების გარეშე ჩამოწეროს თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან კლიენტის რომელიმე ვალდებულების შესრულების მიზნით;
3.2.3.მოქმედი კანონმდებლობით ან/და კლიენტსა და მიკრობანკს შორის დადებული ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან/და სხვა დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში (მაგალითად საინკასო დავალების არსებობისას).
3.3.კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება მიკრობანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება.
3.4.მიკრობანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ ნებისმიერი ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:
3.4.1.ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი იდენტიფიკაცია;
3.4.2.დავალება შედგენილი ან წარდგენილია მიკრობანკში დადგენილი წესის დარღვევით ან შეიცავს

არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);
3.4.3.დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან მიკრობანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;
3.4.4.მიკრობანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ;
3.4.5.აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობით ან კლიენტს მიკრობანკის მიმართ გააჩნია ფულადი ვალდებულება (დავალიანება).
3.5.ანგარიშიდან ფულადი სახსრების გასატანად (გასაცემად), როგორც წესი, გამოიყენება სალაროს გასავლის ორდერები.

4. საფასური საბანკო მომსახურებისთვის

4.1.კლიენტისა და მიკრობანკის ფინანსური ურთიერთობა წესრიგდება მიკრობანკის ტარიფებითა და მიკრობანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებებით, პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებით, აგრეთვე პლასტიკური ბარათების შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მომსახურების ტარიფებით. ანგარიშის წარმოებისათვის, ამ ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციებისათვის და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის კლიენტი მიკრობანკს უხდის ოპერაციის შესრულების ან მომსახურების გაწევის დროისათვის მიკრობანკის მიერ დადგენილი და მოქმედი ტარიფების შესაბამისად განსაზღვრულ თანხას (მომსახურების საფასურს, საკომისიოს და სხვა).
4.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს არ დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი მომსახურების საფასური (საკომისიო).
4.3. მომსახურების ტარიფები განთავსებულია მიკრობანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.mbc.com.ge.
4.4. მიკრობანკს უფლება აქვს შესთავაზოს კლიენტს მომსახურების პაკეტის გამოყენება, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ ერთდროულად რამდენიმე საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობას ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ. მომსახურების პაკეტზე რეგისტრაცია ხდება კლიენტის მიერ განაცხადის შევსებით, რომელიც მიიჩნევა კლიენტის თანხმობად მომსახურების პაკეტში შემავალი ყველა საბანკო მომსახურებით/პროდუქტით სარგებლობაზე.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. კლიენტი ვალდებულია:
5.1.1.საბანკო ოპერაციების წარმოების საკითხებში დაექვემდებაროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას;
5.1.2.კლიენტი აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული განცხადების შევსებისას მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის საგადასახდო/სამეწარმეო სტატუსის შესახებ) არის უტყუარი და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, წერილობით, მიკრობანკის სატელეფონო სერვის ცენტრთან დაკავშირებით (ნომერზე +99 532 2 50 50 02) ან/და სერვის ცენტრში ვიზიტით, აცნობოს მიკრობანკს მისი საგადასახდო/სამეწარმეო სტატუსის, საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
5.13.დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს მის მიერ მიკრობანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე იმ პირ(ებ)ის შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიში, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე მიკრობანკის მიერ ოპერაციები სრულდება არსებული საბუთების საფუძველზე;
5.1.4.ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის განაცხადთან ერთად, მიკრობანკს წარუდგინოს ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები კლიენტის საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად;
5.1.5.მიკრობანკის მიერ მისთვის გახსნილი ანგარიშები სამეწარმეო მიზნებისთვის გამოიყენოს

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება შესაბამისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს თავისი ანგარიშები სამეწარმეო საქმიანობისთვის;

5.1.6.მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მიკრობანკს საბანკო ოპერაციებთან / კლიენტთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია, მათ შორის, მიკრობანკის მიერ ოპერაციის (გარიგების) ეკონომიკური შინაარსის კვლევის პროცესში ან/და კლიენტის მატერიალური სახსრების წარმომავლობის (ან/და მათი კანონიერების) დადგენის მიზნით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

5.1.6.საგადახდო ინსტრუმენტი გამოიყენოს მისი გამოშვებისა და გამოყენებისთვის დადგენილი პირობების შესაბამისად;

5.1.7.საგადახდო ინსტრუმენტის მიღებისთანავე გონივრული ქმედებებით უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლების უსაფრთხოდ შენახვა;

5.1.8.საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან არაუფლებამოსილი გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მიკრობანკს;

5.1.9.დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები;

5.1.10.დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური (საკომისიო);

5.1.11.მიკრობანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა ხელი მოაწეროს და გადასცეს მიკრობანკს ამ უკანასკნელისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის განხორციელებისთვის ან ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისთვის საჭირო ნებისმიერი საბუთი;

5.1.12.სრულად აანაზღაუროს ამ ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების დადებასთან, დამოწმებასთან, რეგისტრაციასთან, შესრულებასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული ან/და კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო მიკრობანკის მიერ გაწეული (მათ შორის კლიენტისთვის შეტყობინების გაგზავნასთან დაკავშირებული) ყველა და ნებისმიერი ხარჯი.

5.2. კლიენტი უფლებამოსილია:

5.2.1. მისცეს მიკრობანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, მხოლოდ მისი უფლებამოსილების ფარგლებში;

5.2.2. მოითხოვოს და მიიღოს ნაღდი ფული (როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში), ანგარიშზე რიცხული ნაშთის ფარგლებში, მიკრობანკში დადგენილი წესის შესაბამისად;

5.2.3.მიკრობანკს მოსთხოვოს არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული ოპერაციის მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, არაავტორიზებული საგადახდო დავალების საფუძველზე შესრულებული გადახდის ოპერაციის თანხის ანაზღაურება ან/და არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციის კორექტირება, თუ არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული გადახდის ოპერაციის თარიღიდან არ გასულა 13 (ცამეტი) თვეზე მეტი და კლიენტმა შეატყობინა მიკრობანკს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ, ასეთი ოპერაციის აღმოჩენიდან გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ხოლო პირდაპირი დებეტის შემთხვევაში - საქართველოს ეროვნული ბანკის წესით დადგენილ ვადაში. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადები არ მოქმედებს თუ მიკრობანკმა შეთანხმებული ფორმით კლიენტს არ მიაწოდა გადახდის ოპერაციის სტატუსის შესახებ ინფორმაცია ან/და შეთანხმებული ფორმით არ უზრუნველყო ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

5.2.4.ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში და შეწყვიტოს ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

5.3. მიკრობანკი ვალდებულია:

5.3.1.მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია/დოკუმენტაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ;

5.3.2. შეასრულოს კლიენტის დავალებები ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3.3.წინამდებარე ხელშეკრულების 5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობისას,

კლიენტს აუნაზღაუროს არაავტორიზებული გადახდის ოპერაციის თანხა დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს იმ დღის მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, როდესაც აღნიშნულის შესახებ მიკრობანკისთვის ცნობილი გახდა ან მიიღო შეტყობინება;

5.3.4. ნათლად გააცნოს კლიენტს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების მოთხოვნები;

5.3.5.არ გახადოს საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების პერსონიფიცირებული მახასიათებლები ხელმისაწვდომი სხვა პირებისთვის, გარდა კლიენტისა;

5.3.6.კლიენტის წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.9. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საგადახდო ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთა;

5.3.7. კლიენტს არ გაუგზავნოს საგადახდო ინსტრუმენტი მისი მოთხოვნის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ კლიენტისათვის უკვე გადაცემული ინსტრუმენტი ჩანაცვლებას ექვემდებარება;

5.3.8. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

5.4. მიკრობანკი უფლებამოსილია:

5.4.1. გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა, ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის, სარგებლობის ყოველ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

5.4.1.1. კლიენტი, მიკრობანკის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას;

5.4.1.2. თანხის ჩამოჭრა მოხდება მიკრობანკის მიერ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4.2. განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე ღონისძიება, თუ მიკრობანკის მიერ სათანადო წესით ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები (მათ შორის, პრევენციული ღონისძიებები), ან/და მიკრობანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან, აგრეთვე მიკრობანკში არსებული ინფორმაციით, ოპერაციის და/ან კლიენტის (წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის კლიენტში მოიაზრება მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები) /ოპერაციის/ოპერაციაში მონაწილე პირის/ პროდუქციის
ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალების/ პროდუქციის შეძენასთან/იმპორტთან/ ექსპორტთან დაკავშირებული ქვეყნ(ებ)ის ტერიტორიის და/ან კლიენტის მიმართ შესაძლოა მოქმედებდეს საერთაშორისო ეკონომიკური/ფინანსური სანქცია/სანქციები;

5.4.2.1.კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე დახუროს ანგარიშ(ებ)ი და/ან ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხული თანხა დაუბრუნოს გამომგზავნს;

5.4.2.2.დააყოვნოს ოპერაცია დამატებითი ინფორმაციის მიღებამდე;

5.4.2.3.უარი უთხრას კლიენტს ოპერაციის შესრულებაზე;

5.4.2.4.კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე შეუჩეროს და/ან შეუწყვიტოს კლიენტს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დისტანცური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა;

5.4.2.5.დაბლოკოს საგადახდო ინსტრუმენტი, თუ:

5.4.2.5.1.არსებობს ინსტრუმენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული საფუძველი;

5.4.2.5.2. არსებობს ეჭვი საგადახდო ინსტრუმენტის თაღლითური ან/და არაუფლებამოსილი გამოყენების შესახებ;

5.4.2.5.3.საკრედიტო ლიმიტის მქონე საგადახდო ინსტრუმენტის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაზრდილია ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი.

5.4.2.6. საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვის შემთხვევაში, მიკრობანკი უზრუნველყოფს კლიენტის შეთანხმებული ფორმით ინფორმირებას საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვის შესახებ, შესაბამისი მიზეზის მითითებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, საგადახდო ინსტრუმენტის დაბლოკვამდე, მაგრამ

არაუგვიანეს დაბლოკვისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაბლოკვის საფუძვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება დაუშვებელია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ობიექტურად დასაბუთებული მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

5.4.3. განახორციელოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

5.5. გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

5.5.1. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

5.5.1.1.თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

5.5.1.2. „მხარეები“, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

5.5.1.3. თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით.

5.5.1.4. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა, ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის, შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

5.5.1.5. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

5.6. ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, მიკრობანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

5.7. კლიენტს ეკრძალება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურების გამოყენება უკანონო მიზნით, მათ შორის, იმ საქონლის ან მომსახურების შესაძენად, რომლის შეძენაც აკრძალულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5.8. მიკრობანკი არ არის ვალდებული კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ცვლილებების (მათ შორის, კლიენტისთვის სასარგებლო ან/და ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ცვლილებების) შესახებ.

6. **მხარეთა პასუხისმგებლობა**

6.1. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2. **მიკრობანკი არ არის პასუხისმგებელი:**

6.2.1. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ:

6.2.1.1. ეს გამოწვეულია კლიენტის "საგადახდო დავალებაში" ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან/და შუამავალი მიკრობანკის/მიკრობანკის ნებისმიერი ქმედებით ან/და შეცდომით ან/და მიკრობანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით;

6.2.1.2.იმ სახელმწიფოზე, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებს თანხის მიმღების (ადრესატის) მომსახურე მიკრობანკი ვრცელდება ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას;

6.2.1.3.საკორესპოდენტო ბანკი (რომლის მეშვეობითაც სრულდება გადარიცხვა) უარს განაცხადებს ოპერაციის შესრულებაზე ან/და მოხდება გადასარიცხავი თანხის დაკავება/ბლოკირება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის ან/და სხვა მიზნით.

6.2.2. შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია:

6.2.2.1. კლიენტის დავალებით ოპერაციის განხორციელებით;

6.2.2.2. კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის ან/და სხვა მოწყობილობისა თუ აღჭურვილობის (მათი რომელიმე ნაწილის ან/და აქსესუარის) ან/და პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავობით;

6.2.2.3. ტელეკომუნიკაციების ოპერატორის, ინტერნეტ-პროვაიდერის ან/და ნებისმიერი სხვა პირის მიზეზით;

6.2.2.4. კლიენტის მიერ განაცხადის ან/და განცხადების არასწორი ან არასრულყოფილი შევსებით;

6.2.2.5. კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის უსწორობით ან/და უზუსტობით;

6.2.2.6. კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

6.2.2.7. კლიენტისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების კლიენტის მიერ გამოუყენებლობით.

6.2.2.8. მიკრობანკის მიერ გაცემული რეკომენდაციების კლიენტის მიერ შეუსრულებლობით.

6.3. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თუ ეს გარემოებები გამოწვეულია დაუძლეველი (გადაულახავი) ძალის პირდაპირი ზემოქმედებით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტით ან ქმედებით და სხვა (ფორსმაჟორული გარემოებები). ფორსმაჟორული გარემოების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ამის შესახებ მეორე მხარეს. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

7. **ინფორმაცია კლიენტის შესახებ და საბანკო საიდუმლოება**

7.1. კლიენტი აცხადებს, რომ ის არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით და არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან").

7.2. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ:

7.2.1. აქვს ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებაუნარიანობა;

7.2.2.არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში (მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სახით), რითაც საფრთხეს ექმნება კლიენტის ვალდებულებების შესრულებას, კლიენტის ქონებას ან/და აქტივებს;

7.2.3.უარს არ იტყვის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ასევე არ გადასცემს თავის ვალდებულებებს მესამე პირს. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ კლიენტმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს მიკრობანკის უფლებას, მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება და ამ მიზნებისთვის კლიენტი

აცხადებს თანხმობას, რომ მიკრობანკმა მესამე პირს გადასცეს ინფორმაცია კლიენტის მიმდინარე დავალიანების/გადასახდელების შესახებ;

7.2.4.ამ ხელშეკრულების დადებისას, იგი არ იმყოფება შეცდომის, მოტყუების, მის წინააღმდეგ გამოყენებული ძალადობის ან მუქარის გავლენის ქვეშ;

7.2.5.მისთვის ცნობილია, რომ მიკრობანკისათვის ყალბი ან/და არასწორი (სინამდვილესთან შეუსაბამო) ინფორმაციის/ცნობ(ებ)ის მიწოდება არის დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით და წარმოადგენს საკმარის საფუძველს ამ ხელშეკრულების მოქმედების შესაწყვეტად.

7.2.6.მის მიერ ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში აღნიშნული განცხადების მიკრობანკის მიერ მიღების მომენტში მიკრობანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია კლიენტის კონტროლის და მფლობელობის სტრუქტურაში შემავალი პირების შესახებ), საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

7.2.7.კლიენტი, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან

გამომდინარე, მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს, რომელსაც მიკრობანკის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

7.2.7.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთვის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას);

7.2.7.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

7.2.7.3.პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;

7.2.7.4.პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის, ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.

7.3.მიკრობანკი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და ამის საფუძველზე კლიენტის და კლიენტის მიერ, მიკრობანკისთვის მიწოდებული კლიენტთან დაკავშირებული პირის პერსონალური მონაცემები, ასევე ვალდებულია დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება (კონფიდენციალობა), რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კლიენტთან საქმიანი ურთიერთობისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებითაც არ ილახება კლიენტის ინტერესები.

მიკრობანკის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძალაშია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

7.4. მიკრობანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

7.5. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სს მიკრობანკი „ემბისი“ უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსგან/პირისგან, „პეროსნალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით მიიღოს მიკრობანკისთვის აუცილებელი, კლიენტის და კლიენტის მიერ, მიკრობანკისთვის მიწოდებული კლიენტთან დაკავშირებული პირის პერსონალური მონაცემები. საბანკო მომსახურების გაწევის პროცესში, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით, მოახდინოს საბანკო მომსახურების გასაწევად კლიენტთან დაკავშირებული ყველა საჭირო პერსონალური და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება.

7.6. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სს მიკრობანკი „ემბისი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პრუდუქტის მიღების შესახებ მიკრობანკისთვის წარდგენილი განაცხადის განხილვისა და საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით (ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობითა და პერიოდულობით), კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვოს კლიენტის შესახებ ნებისმიერი (მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით პერსონალური) ინფორმაცია/მონაცემი (მათ შორის, საქართველოში მოქმედი საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ები)საგან, ნებისმიერი მესამე პირისაგან, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით დაამუშავოს კლიენტის შესახებ მოპოვებული შესაბამისი პერსონალური და/ან განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

7.7. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სს მიკრობანკი „ემბისი“ უფლებამოსილია კლიენტისათვის გასაწევი საბანკო მომსახურების გაუმჯობესების ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მიკრობანკმა კლიენტის საბანკო ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია, აგრეთვე კლიენტის პერსონალური მონაცემები, ამ ინფორმაციის და მონაცემების კონფიდენციალურობის და „პერსონალურ მონაცემთა
დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირობების დაცვით, გადასცეს მიკრობანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებს.

7.8. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მიკრობანკი ვალდებულია შეცვალოს, აღადგინოს, შეავსოს, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, მცდარია ან/და მათი დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

7.9. კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია მიკრობანკის ვებგვერდზე განთავსებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (https://mbc.com.ge/), რომელიც მოიცავს პირის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საკითხებს.

8. ხელშეკრულების მოქმედება და სხვა პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნული განაცხადის მიღების მიკრობანკის მიერ დადასტურების მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

8.2. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიშ(ებ)ი ან შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე ან მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე მიკრობანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით (თუ კონკრეტულ ანგარიშთან ან მომსახურებასთან

დაკავშირებით ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ანგარიშის დახურვის ან/და მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების მიკრობანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა გადაუხადოს მიკრობანკს შესაბამის ანგარიშთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.

8.3. მიკრობანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს:

8.3.1. შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი, შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისტანცური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა, შეწყვეტამდე არანაკლებ

1 (ერთი) თვით ადრე კლიენტისთვის შეტყობინებით, ხოლო 5.4.2. პუნქტით გათვალისწინებულ და/ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში წინასწარი შეტყობინების გარეშე;

8.3.2. დახუროს კლიენტის ანგარიში და შეუწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, დისტანცური არხებით ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა, კლიენტის მიერ მიკრობანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, ანგარიშის მომსახურებისათვის და/ან დახურვისათვის მიკრობანკში განსაზღვრული საკომისიოს ოდენობის ნაშთის არარასებობის ან/და 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება მიკრობანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩამოწერა კლიენტის ანგარიშიდან). მიკრობანკში კლიენტს ანგარიში ასევე დაეხურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.

8.4. ამ ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5. მიკრობანკს უფლება აქვს ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ამ ხელშეკრულების ტექსტში, ცვლილების (დამატებების) მიკრობანკის ვებგვერდზე www.mbc.com.ge ან/და მიკრობანკის სერვის ცენტრების შენობებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით, რის შესახებაც კლიენტს წინასწარ ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

8.6. ამ ხელშეკრულების 8.5. პუნქტში აღწერილ შემთხვევაში კლიენტს უფლება ექნება მიკრობანკის ვებგვერდზე ან/და მიკრობანკის სერვის ცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება ამ ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული წესით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების მიკრობანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა დაუბრუნოს მიკრობანკს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ყველა საკრედიტო პროდუქტი (სრულად დაფაროს ყველა საკრედიტო ლიმიტი, საბანკო კრედიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაუხადოს მიკრობანკს საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი. ამ ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კლიენტისთვის დაკისრებული ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 8.6. პუნქტში აღწერილი უფლებით, მიკრობანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ დადასტურებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

8.8. წინამდებარე ხელშეკრულების 8.5-8.7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ ეხება შემთხვევებს, როდესაც ცვლილება (დამატება) ხორციელდება მომხმარებლის სასარგებლოდ.

8.9. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. მიკრობანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელ. ფოსტა, მიკრობანკის ოფიციალური ვებგვერდი – www.mbc.com.ge და ა.შ.) ციფრული, სატელეფონო და სხვა).

8.10. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
8.11.წინამდებარე ხელშეკრულებისა და კონკრეტულ საბანკო პროდუქტთან/მომსახურებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება კონკრეტული საბანკო პროდუქტის/მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებებს.
8.12. მიკრობანკის ვებგვერდზე განთავსებულ და მიკრობანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის მიკრობანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია მიკრობანკის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
8.13.ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით.
8.14.ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.
815.ამ ხელშეკრულების ტექსტი განთავსებულია მიკრობანკის ვებგვერდზე www.mbc.com.ge, მოთხოვნის შემთხვევაში, კლიენტს გადაეცემა ხელმოწერილი ხელშეკრულება.
8.16.იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ექნება რაიმე სახის ვალდებულება მიკრობანკის მიმართ, ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიკრობანკი განახორციელებს იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღებას ან რეალიზაციას. უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის ღირებულების ან იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციით მიღებული თანხის ტოლი ოდენობით, გარდა უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევებისა. უზრუნველყოფის საგნის განზრახ განადგურების/გადამალვის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს/არბიტრაჟს და აღსრულება მიაქციოს მსესხებლის სხვა ქონებაზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

9. სატელეფონო მომსახურება

9.1.სატელეფონო მომსახურება გულისხმობს კლიენტის მიერ მიკრობანკში გამოუცხადებლად, სატელეფონო კავშირის გამოყენებით, მიკრობანკის სერვისებთან/მომსახურებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას.

9.2. კლიენტის იდენტიფიკაცია

9.2.1. მიკრობანკი კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის გამოიყენებს მიკრობანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს. მიკრობანკთან ყოველი სატელეფონო კავშირისას (სატელეფონო მომსახურების მიღების ყოველ ჯერზე) კლიენტმა უნდა გაიაროს იდენტიფიცირების პროცედურა (სწორედ უნდა უპასუხოს სატელეფონო სერვისცენტრის ოპერატორის მიერ დასმულ (მიკრობანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ) შეკითხვებს).
9.2.2. მიკრობანკი უფლებამოსილია უარი უთხრას სატელეფონო მომსახურებაზე პირს, რომელიც არ, ან ვერ გაივლის იდენტიფიცირების პროცედურას.
9.2.3. იმ შემთხვევაში თუ მიკრობანკის შესაბამის წარმომადგენელს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი, მიკრობანკს უფლება აქვს უარი თქვას სატელეფონო დავალებების შესრულებაზე.
9.2.4. კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, მიკრობანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს დამატებითი მექანიზმები (მოთხოვნები), რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მიიღებს სატელეფონო მომსახურებას.
9.3. მიკრობანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

საქართველოს კანონის დაცვით, კლიენტის მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მისი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტის მიერ მიკრობანკში დაფიქსირებული ტელეფონის ნომერზე კლიენტთან

განახორციელოს სატელეფონო ზარი, მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით (მათ შორის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით) სარგებლობის შეთავაზებისა და რეგისტრაციის მიზნით.

9.4. კლიენტი უფლებამოსილია:

9.4.1. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიკრობანკს მომსახურების გაწევის ან/და პროდუქტ(ებ)ით სარგებლობის შეთავაზების პირდაპირი მარკეეტინგის მიზნით და რეგისტრაციის მიზნით მასთან სატელეფონო ზარების განხორციელების შეწყვეტა. აღნიშნული მოთხოვნის დასაფიქსირებლად კლიენტმა უნდა განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მოქმედება:

9.4.1.1. მიკრობანკის სერვის ცენტრში ვიზიტი;

9.4.1.2. სატელეფონო სერვის-ცენტრში მოთხოვნის დაფიქსირება.

9.4.1.3. პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, მონაცემების დამუშავების შეწყვეტა და თანხმობის უკან გამოხმობა, გარდა

9.4.1.1. და 9.4.1.2. პუნქტებისა ასევე შესაძლებელია სხვა საშუალებებით, რითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით (SMS სერვისი), ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით და სხვა გზებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.5. მიკრობანკი ვალდებულია კლიენტის მოთხოვნის მიღებისთანავე, დაიყოვნებლივ, შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, შეთავაზებების განხორციელება.

10. მომსახურება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით (SMS სერვისი)

10.1. SMS სერვისი არის დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლის საშუალებითაც კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის წარდგენილ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის მეშვეობით ექნება საშუალება მიიღოს ინფორმაცია მიკრობანკის საბანკო პროდუქტებთან, მომსახურებასთან, შესრულებულ ტრანზაქციებთან და სიახლეებთან დაკავშირებით.

10.2. კლიენტს, რომელიც მიმართავს მიკრობანკს მომსახურების (სერვისის/პროდუქტის) მიღებისთვის ან/და სარგებლობს ზემოაღნიშნული მომსახურებით (სერვისით/პროდუქტით), უაქტიურდება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების სერვისი, რისთვისაც აუცილებელია, კლიენტის ტელეფონის ნომერი დარეგისტრირებული იყოს მიკრობანკის პროგრამაში. ამ მომსახურების გაუქმებისთვის ან მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილებისთვის აუცილებელია მიკრობანკის სერვის ცენტრში ვიზიტი.

10.3. მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურებაზე ვრცელდება ამ ხელშეკრულების პირობები ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

10.4. ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლში მოცემული პირობები გამოიყენება კლიენტის უკლებლივ ყველა საბანკო ანგარიშთან მიმართებით. კლიენტის მიერ მიკრობანკში ახალი ანგარიშის გახსნისას მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურება განხორციელდება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.5. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ სს მიკრობანკი "ემბისი" უფლებამოსილია კლიენტის მოკლე ტექსტური შეტყობინებებით (SMS სერვისით) მომსახურების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კლიენტის პერსონალური მონაცემები), „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით მიაწოდოს სს მიკრობანკ "ემბისისთან" სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სატელეკომუნიკაციო (მობილურ)ოპერატორ(ებ)ს, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მიკრობანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები.

10.6. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები:

10.6.1. **კლიენტი ვალდებულია:**

10.6.1.1. მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნოს მიკრობანკის მიერ მითითებულ ნომერზე

მიკრობანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში აღწერილი ფორმატით;

10.6.1.2. არ დაუშვას მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში;

10.6.1.3. მობილური ტელეფონის აპარატის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაკარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 2505002) ან წერილობით.

10.6.2.**კლიენტი უფლებამოსილია:**

10.6.2.1. ნებისმიერ დროს მოთხოვოს მიკრობანკს მისთვის სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა და პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მისი პეროსნალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობის უკან გამოხმობა. თანხმობის გამოხმობა

კლიენტს შეუძლია ბანკის ფილიალში ვიზიტით, მოკლე ტქესტური შეტყობინების გაგზავნით (SMS სერვისი) და სხვა საშუალებებით, რითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, მათ შორის სატელეფონო სერვის-ცენტრში დარეკვით, ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით და სხვა გზებით ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10.6.3.**მიკრობანკი ვალდებულია:**

10.6.3.1.კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაკარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით) ან წერილობითი ფორმით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში, კლიენტის იდენტიფიკაცია განხორციელდება ხელშეკრულების 9.2 პუნქტში მითითებული წესის შესაბამისად.

10.6.3.2.კლიენტის მოთხოვნის მიღებიდან და პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემული თანხმობის უკან გამოხმობიდან, დაუყოვნებლივ, შეწყვიტოს კლიენტთან სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა და მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება.

10.6.4.**მიკრობანკი უფლებამოსილია:**

10.6.4.1. არ შეასრულოს კლიენტის დავალება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის ან/და კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის არასწორი (ამ ხელშეკრულების ან მიკრობანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის პირობებთან შეუსაბამო) შეტყობინების გაგზავნის ან მიკრობანკის მიმართ კლიენტის დავალიანების არსებობის შემთხვევაში;

10.6.4.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით, კლიენტისგან მისი პესონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე, თანხმობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტს გაუზავნოს სარეკლამო შინაარსის (საქონლის ან/და მომსახურების შეთავაზების შემცველი) და ასევე ინფორმაციული ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

10.6.4.3. კლიენტს გაუგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინება კრედიტის (სესხის,საკრედიტო ლიმიტის ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტის) ოდენობის, დაფარვის თარიღის, დავალიანების შესახებ, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა მიკრობანკის შეტყობინებას, კლიენტი ვალდებულია დროულად დაფაროს კრედიტი (სესხი, საკრედიტო ლიმიტი ან/და სხვა საკრედიტო პროდუქტი) და გადაიხადოს სხვა გადასახდელები (საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, საკომისიო და სხვა).

10.6.4.4. კლიენტს გაუგზავნოს ნებისმიერი ტიპის მოკლე ტექსტური შეტყობინება (როგორც ფასიანი, ისე უფასო). იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ სარგებლობს ფასიანი მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისით, მიკრობანკის ინიციატივით გაგზავნილ მოკლე ტექსტური შეტყობინების საფასურს კლიენტი არ იხდის.

11. მომსახურება იმეილბანკით

11.1 იმეილბანკის საშუალებით კლიენტს შეუძლია, მიკრობანკში გამოუხცადებლად, ელ. ფოსტის მეშვეობით, განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და მიიღოს საბანკო მომსახურება, საკრედიტო/არასაკრედიტო პროდუქტი, ამ ოპერაციის განხორციელების, საკრედიტო/არასაკრედიტო პროდუქტის მიღების დროისთვის მიკრობანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

11.2 იმეილბანკის სერვისით სარგებლობისთვის, კლიენტის ვერიფიცირებული ელ. ფოსტა დარეგისტრირებული უნდა იყოს მიკრობანკის პროგრამაში, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, კლიენტმა მიკრობანკის ვებგვერდის (www.mbc.com.ge) მეშვეობით უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და განახროციელოს მისი ელექტრონული ფოსტის (შემდგომში „ელ. ფოსტა“) ვერიფიკაცია.

11.3 იმეილბანკით სარგებლობის მიზნებისთვის, კლიენტი ვალდებულია, მიკრობანკთან საკონტაქტოდ გამოიყენოს, მიკრობანკის მიერ მასთან წინასწარ შეთანხმებული ელ. ფოსტის მისამართი.

11.4 იმეილბანკის საშუალებით, კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს:

11.4.1 თანხის გადარიცხვა საკუთარ/მესამე პირის ანგარიშებზე, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში;

11.4.2 მუდმივი საგადახდო დავალების აქტივაცია/დეაქტივაცია;

11.4.3 ავტომატური გადახდის აქტივაცია/დეაქტივაცია/რედაქტირება;

11.4.4 სესხის მოთხოვნა (საკრედიტო განაცხადისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოწოდება);

11.4.5 სადებეტო/საკრედიტო ბარათის დამზადების მოთხოვნა;

11.4.6 ბარათის დაბლოკვის/განბლოკვის მოთხოვნა;

11.4.7 საკრედიტო ლიმიტის შემცირება;

11.4.8 მიკრობანკის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოწოდება;

11.4.9 მიმდინარე დავალიანების დაფარვა;

11.4.10 კომუნალური და სხვა სახის გადასახადების გადახდა (გარდა აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის გადახდები, მათ შორის აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობებისათვის ბალანსის ან/და მასთან ასოცირებული ელექტრონული საფულის შევსება);

11.4.11 დეპოზიტის/მოზიდული სესხისა და კრედიტის სახელშეკრულებო პირობების შეთანხმება;

11.4.12 დეპოზიტის გახსნა;

11.4.13 მოზიდული სესხის ხელშეკრულების გაფორმება;

11.4.14 მიკრობანკში არსებული სხვადასხვა სერვისების გააქტიურება.

11.5 მიკრობანკი უფლებამოსილია შეასრულოს მხოლოდ კლიენტის ვერიფიცირებული ელ. ფოსტიდან მიღებული დავალებ(ებ)ი.

11.4. ელ. ფოსტის ცვლილებისთვის აუცილებელიას მიკრობანკის სერვის ცენტრში ვიზიტი ან მიკრობანკის ვებგვერდის (www.mbc.com.ge) საშუალებით შეცვლილი ელ. ფოსტის ვერიფიკაცია.

11.5. საბანკო პროდუქტთან/მომსახურებებთან დაკავშირებული დოკუმენტი ძალაში შედის მხოლოდ კლენტის მიერ მისი ვერიფიცირებული ელ. ფოსტით დადასტურების შემდეგ და აქვს იგივე სამართლებრივი ძალა, რაც კლიენტის მიერ მატერიალური ფორმით გაცემულ თანხმობას.

11.6. იმეილბანკით საბანკო ოპერაციის განსახორციელებლად ან/და საბანკო მომსახურების/საკრედიტო/არასაკრედიტო პროდუქტის მისაღებად, მიკრობანკი უფლებამოსილია, კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს მოთხოვნები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ განახორციელებს საბანკო ოპერაციას ან/და ვერ მიიღებს საბანკო მომსახურებას/საკრედიტო/არასაკრედიტო პროდუქტს.

11.7. იმეილბანკით სარგებლობის წესები, კლიენტისა და მიკრობანკის უფლება-მოვალეობები და სერვისით სარგებლობის კონკრეტული პირობები განისაზღვრება მიკრობანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით „იმეილბანკით მომსახურების შესახებ“.

11.8. წინამდებარე ხელშეკრულებისა და „იმეილბანკით მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება „იმელბანკით მომსახურების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებებს.

12. მომსახურება დეპოზიტით

12.1.დეპოზიტორს შეუძლია ისარგებლოს ვადიანი და მოთხოვნამდე დეპოზიტით და მათი სახესხვაობებით (მოდიფიკაციებით).

12.2.დეპოზიტით მომსახურების მისაღებად დეპოზიტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საანგარიშსწორებო (მიმდინარე და სხვა მსგავსი) ანგარიში.

12.3.დეპოზიტისთვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ხდება წელიწადში 365 დღეზე გადაანგარიშებით, მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ დეპოზიტთან დაკავშირებით ხელმოწერილი დეპოზიტის ხელშეკრულებისა და მიკრობანკის მიერ გავრცელებული საინფორმაციო მასალის (მათ შორის ბუკლეტები, პლაკატები, ბროშურები, მიკრობანკის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და სხვა) შესაბამისად.

12.4. დეპოზიტისთვის დასარიცხი საპროცენტო სარგებლის გამოანგარიშება იწყება თანხის ანგარიშზე შეტანის ან ჩარიცხვის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან.

12.5. მიკრობანკი ვალდებულია:

12.5.1. მიიღოს დეპოზიტი და დაარიცხოს მას საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

12.5.2. დეპოზიტის ვადის გასვლის ან დეპოზიტორის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა (დეპოზიტის ტიპის შესაბამისად) დეპოზიტის თანხა და დარიცხული სარგებელი გადასცეს დეპოზიტორს იმავე ვალუტაში.

12.6. მიკრობანკი უფლებამოსილია:

12.6.1.განკარგოს სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული თანხა საკუთარი სახელითა და შეხედულებისამებრ, (დეპოზიტორის დამატებითი თანხმობის გარეშე) გადარიცხოს დეპოზიტორის ან/და თანხის შეტანის/ჩარიცხვის საბუთში მითითებული ნებისმიერი პირის საანაბრო (სადეპოზიტო) ანგარიშზე;

12.6.2.კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოდენობითა და პერიოდულობით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხოს საშემოსავალო გადასახადი დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადის გადახდა მოხდება დეპოზიტორის ხარჯებით და დაკავდება საპროცენტო სარგებლიდან ან/და დეპოზიტორის ნებისმიერი სხვა სახსრებიდან, დეპოზიტორის შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე;

12.6.3.კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, დეპოზიტორის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს უაქცეპტო წესით ჩამოწეროს თანხები დეპოზიტორის ნებისმიერი სადეპოზიტო ანგარიშიდან ან/და დახუროს (შეწყვიტოს) დეპოზიტი;

12.6.4.კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტს არ აქვს ასეთი ანგარიში ან/და საჭიროა ასეთი ანგარიშის დამატებით გახსნა (ამ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ან/და კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი განაცხადი, რომლითაც ის უერთდება ამ ხელშეკრულებას ჩაითვლება კლიენტის განაცხადად საანგარისშწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშის გახსნის შესახებ);

12.6.5.კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, და სხვა) ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის გახსნის ან/და დეპოზიტისთვის თანხის დამატების დანიშნულებით შეტანილი ან/და ჩარიცხული თანხა ავტომატურად (დეპოზიტორის დამატებითი თანხმობის გარეშე) გადარიცხოს დეპოზიტორის ან/და თანხის შეტანის/ჩარიცხვის საბუთში მითითებული ნებისმიერი პირის საანაბრო (სადეპოზიტო)

ანგარიშზე;

12.6.6.კლიენტის ვადიანი დეპოზიტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დანიშნულებით მიღებული თანხა (იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხვის საბუთში მითითებულია სადეპოზიტო ანგარიშის ნომერი) თავდაპირველად ჩარიცხოს კლიენტის მიმდინარე (საანგარიშსწორებო ან/და მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიშზე და შემდეგ გადარიცხოს კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის გათვალისწინებით.

12.7.დეპოზიტის საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს მოცულობა, დარიცხვის, გაცემის და განკარგვის წესები და პირობები ცვალებადია, განისაზღვრება მიკრობანკის მიერ ცალმხრივად/სტანდარტულად და შეესაბამება მისი/მათი დარიცხვის, გაცემის და განკარგვის მომენტისათვის მიკრობანკის მიერ დადგენილ მოცულობას თუ წესებსა და პირობებს, აღნიშნული ცვლილებები/დამატებები მიკრობანკმა უნდა შეატყობინოს დეპოზიტორს წინამდებარე ხელშეკრულების 8.5-8.9 პუნქტების შესაბამისად.

12.8.დეპოზიტორის მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია ხელშეკრულებით დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო სამუშაო დღე არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს ანაბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა სამუშაო დღეს.

12.9.თუ კონკრეტულ დეპოზიტთან დაკავშირებით ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს დარიცხვის/გადახდის მომენტში, კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილია საკომისიოს განაკვეთები, რომელთა მოცულობა უფრო დაბალია, ვიდრე კონკრეტულ დეპოზიტთან დაკავშირებით ხელმოწერილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს განაკვეთები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილი საკომისიოს მაქსიმალური განაკვეთი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

12.10. თუ მიკრობანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან/და ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, საკომისიო და სხვა გადასახდელები გადახდას ექვემდებარება მათი დარიცხვის მომენტიდან.

12.11.საკომისიოს და სხვა გადასახდელების გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც გახსნილია ვადიანი დეპოზიტი, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში, კონვერტაცია უნდა განხორციელდეს დეპოზიტორის ხარჯზე, კონვერტაციის თარიღისათვის მიკრობანკში დაწესებული კომერციული კურსით ან დეპოზიტორთან შესაბამისი მიზნობრიობით შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12.12.დეპოზიტორი ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას საკომისიოს და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შემდეგ სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს მიკრობანკის შეხედულებით.

13 საკრედიტო პროდუქტების ზოგადი პირობები

13.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტით.

13.1.1. ამ ხელშეკრულების და კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების საფუძველზე მიკრობანკს წარმოეშობა მხოლოდ უფლება (და ის არ არის ვალდებული) გასცეს კრედიტი (სრულად ან მისი ნებისმიერი ნაწილი) ან მოემსახუროს კლიენტს რომელიმე საკრედიტო პროდუქტით.

13.1.2.საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის თითოეული ტრანშის) გასაცემად საჭიროა შესაბამისი წინაპირობ(ებ)ის/მოთხოვნ(ებ)ის (ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში) კლიენტის მიერ შესრულება/ დაკმაყოფილება.

13.1.3.წინამდებარე ხელშეკრულების 13.1.2 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიკრობანკს

უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ, არ გასცეს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი/შეწყვიტოს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის ნებისმიერი ტრანშის გაცემა კლიენტისთვის მიზეზის განმარტების გარეშე (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეთა შორის გაფორმებულია კონკრეტული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულება).

13.2. ამ მუხლით განისაზღვრება საკრედიტო პროდუქტების ზოგადი პირობები, ხოლო კონკრეტული პირობები განისაზღვრება და რეგულირდება, მხარეთა შორის გაფორმებული შესაბამისი საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულებით. სხვა ტიპის საკრედიტო პროდუქტები, როგორც წესი, გაიცემა მიკრობანკსა და კლიენტს შორის დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რაც არ გამორიცხავს რომელიმე საკრედიტო პროდუქტის გაცემას პირდაპირ ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

13.3. საკრედიტო პროდუქტის მისაღებად კლიენტმა მიკრობანკს უნდა მიმართოს განაცხადით. მიკრობანკი განიხილავს კლიენტის განაცხადს და მიიღებს გადაწყვეტილებას საკრედიტო პროდუქტის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ (მიკრობანკი არ არის ვალდებული განმარტოს უარის თქმის მიზეზი).

13.4. კლიენტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მიკრობანკის ნებისმიერი დისტანციური არხის/კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, დააფიქსიროს მოთხოვნა კლიენტსა და მიკრობანკს შორის გაფორმებული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების (მათ შორის დისტანციური არხების საშუალებით მიღებული საკრედიტო პროდუქტის ხელშეკრულების) ასლის გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო ამ უკანასკნელის მისაღებად, უნდა გამოცხადდეს მიკრობანკის სერვის ცენტრში.

13.5. საკრედიტო პროდუქტის მიღების შემდეგ კლიენტი (მსესხებელი) ვალდებული იქნება გადაიხადოს საპროცენტო სარგებელი მიკრობანკთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

13.6. საპროცენტო სარგებელი ერიცხება კლიენტის ფაქტობრივ დავალიანებას მიკრობანკის მიმართ და იანგარიშება პროდუქტით ფაქტობრივად სარგებლობის დღეების შესაბამისად.

13.7. კლიენტის ფულადი ვალდებულები, როგორ წესი, სრულდება მის ანგარიშ(ებ)ზე აკუმულირებული თანხებით.

13.8. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ აქვს საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში, საკრედიტო პროდუქტის მიღების შესახებ განაცხადი იმავდროულად ჩაითვლება განაცხადად საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშის გახსნის შესახებ და საკრედიტო პროდუქტის გაცემამდე გაიხსნება კლიენტის საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში.

13.9. კლიენტის მიერ საკრედიტო პროდუქტის დასაფარავად მიკრობანკისთვის გადაცემული ან კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. კლიენტი მიკრობანკს უფლებას ანიჭებს:

13.9.1. შეცვალოს ამ ხელშეკრულების 13.9 პუნქტში მოცემული წესი;

13.9.2. მიკრობანკმა თავად განსაზღვროს კლიენტის ვალდებულებების შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა), ანუ ცალმხრივად გადაწყვიტოს, თუ რა ოდენობით (მოცულობით) და რომელ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული დავალიანება დაიფაროს კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული ან/და კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე განთავსებული თანხ(ებ)ით, რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტი მიკრობანკს ანიჭებს კლიენტის სახელით კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობის (პრიორიტეტულობის) განსაზღვრის უფლებამოსილებას.

13.10. ყოველთვიურად გადასახდელი თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მიკრობანკს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისთვის, რომელიც შესაძლებელია შედგებოდეს ფიქსირებული პირგასამტეხლოსა და ყოველდღიური პირგასამტეხლოსგან და რომელთა ოდენობაც განისაზღვრება ვადაგადაცილების წარმოშობის მომენტში მიკრობანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

13.11. საკრედიტო პროდუქტს არ დაერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს. ამ შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო სამუშაო დღეს.

13.12. კრედიტის წინსწრებით დაფარვის შესახებ განცხადების მიკრობანკისთვის წარდგენის შემთხვევაში, კლიენტი/მსესხებელი ვალდებული იქნება წარუდგინოს მიკრობანკს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად იძლევა კრედიტის რეფინანსირების ფაქტის დადგენის შესაძლებლობას ან უარყოფს კრედიტის რეფინანსირების ფაქტს.

13.13. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი კრედიტის პირობებით გათვალისწინებულია რეფინანსირების საკომისიო და მიკრობანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ხდება რეფინანსირება, მიკრობანკს უფლება ექნება კრედიტის წინასწრებით დაფარვის შესახებ კლიენტის/მსესხებლის განცხადების მიღების შემდეგ ნებისმიერ დროს დამატებით მოსთხოვოს კლიენტს/მსესხებელს კრედიტის რეფინანსირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის მისთვის წარდგენა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

13.14. კრედიტის რეფინანსირებად ჩაითვლება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის (კომერციული ბანკის, მიკრობანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის ან/და სხვა პირის) მიერ პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით გაცემული თანხით სს მიკრობანკი „ემბისიდან“ მიღებული კრედიტის წინსწრებით (შეთანხმებულ ვადაზე ადრე) დაფარვა პირდაპირ ან/და ირიბად, უშუალოდ ან/და სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით.

13.15. მიკრობანკი არ არის ვალდებული დაამტკიცოს რეფინანსირების ფაქტი და მას უფლება აქვს, კრედიტის რეფინანსირების შესახებ ინფორმაციის ნებისმიერი წყაროთი მიღების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისთვის/მსესხებლისთვის შესაბამისი საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფინანსირების არარსებობის ფაქტის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კლიენტს/მსესხებელს;

13.16. წინსწრებით დაფარვისა და რეფინანსირების საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება კლიენტთან/მსესხებელთან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ით.

13.17. მიკრობანკს უფლება აქვს კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან/და კლიენტის მიერ მიკრობანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების (მათ შორის კრედიტის დაბრუნების) მიზნით მოითხოვოს და მიიღოს კლიენტის შესახებ მესამე პირთ(ებ)ან თუ ადმინისტრაციულ ორგანო(ებ)ში არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი დაცვით.

13.18. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი დაარღვევს მიკრობანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება მიკრობანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, მიკრობანკს უფლება ექნება სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ ისვე, როგორც კლიენტის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი.

14. საკრედიტო ურთიერთობის ან/და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის პირობები

14.1.მიკრობანკს უფლება აქვს შეწყვიტოს კლიენტთან არსებული საკრედიტო ურთიერთობა ან/და ნებისმიერი, რამდენიმე ან ყველა დამატებითი ხელშეკრულების მოქმედება ან/და მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის ძირითადი თანხის დაბრუნება მისთვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ შემთხვევებში:

14.1.1. მხარეთა წერილობით შეთანხმებით;

14.1.2. მსესხებლის მიერ სესხის ვადამდე სრულად დაფარვის შემთხვევაში;

14.1.3. თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა ან არსებობს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რეალური საფრთხე;

14.1.4. თუ მსესხებელმა დაარღვია ამ ხელშეკრულებით დადგენილი რომელიმე ვალდებულება, მათ შორის (და არამარტო) დაარღვია გადახდის გრაფიკი და დარღვევა არ იქნა გამოსწორებული გამსესხებლის მიერ შესაბამისი შეტყობინებით (გაფრთხილებით) დაწესებულ ვადაში.

14.2.ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მიკრობანკი მსესხებელს უგზავნის შეტყობინებას/გაფრთხილებას, რომლითაც განუსაზღვრავს დარღვეული მიმდინარე ვალდებულების შესრულების 14 დღიან ვადას.

14.3.მიმდინარე ვალდებულებების შესრულებისათვის დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მიკრობანკი უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს მსესხებლისაგან სესხის სრულად გადახდა ძირითადი თანხის ან/და სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის, საკომისიოს, დარიცხული პროცენტების და პირგასამტეხლოს ჩათვლით, სესხის სრულად დაფარვამდე ან/და აღსრულებამდე. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მიკრობანკი განახორციელებს სამართლებრივ და აღსრულების პროცედურებს.

14.4.ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მიკრობანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთული ქონების გადმოცემა ან/და რეალიზაცია და პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ეკისრება კლიენტს. მიკრობანკი უფლებამოსილია, აღსასრულებლად (სარეალიზაციოდ) მიაქციოს იპოთეკით/გირავნობით დატვირთული ყველა ქონება, მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება ყველა თავდებს ან/და აღსასრულებლად მიაქციოს ნებისმიერი სხვა უზრუნველყოფის საშუალება (ხელშეკრულება). აღნიშნული არ გამორიცხავს და მიკრობანკი უფლებამოსილია, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში თავისი შეხედულებით აირჩიოს - იპოთეკით ან/და გირავნობით დატვირთულ რომელ ქონებას მიაქცევს სარეალიზაციოდ, რომელ თავდებს მოსთხოვს ვალდებულების სოლიდარულად შესრულებას ან/და რომელ ნებისმიერ სხვა უზრუნველყოფის საშუალებას (ხელშეკრულებას) მიაქცევს აღსასრულებლად.

15. საკრედიტო ლიმიტი

15.1. საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დასაშვებად კლიენტი მიკრობანკს მიმართავს განაცხადით. განაცხადში აღინიშნება საკრედიტო ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა, რომლის მიღებაც სურს კლიენტს; საკრედიტო ლიმიტის ვალუტა, ვადა, რომლის განმავლობაშიც კლიენტი მზად არის დააბრუნოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტი; სარგებლის წლიური საპროცენტო განაკვეთი (მიკრობანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად) და სხვა ინფორმაცია.

15.2. კლიენტის განაცხადის მიღების შემდეგ მიკრობანკი განიხილავს საკრედიტო ლიმიტის დაშვების საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კლიენტს აძლევს უფლებას, ისარგებლოს მის ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტით მიკრობანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რის შესახებაც კლიენტს ინფორმაცია მიეწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით.

15.3. ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს მიკრობანკს სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება ლიმიტის ათვისების მომენტისთვის მიკრობანკის მიერ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად. სარგებელის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, კლიენტის მიერ საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ფაქტიურად ათვისებულ თანხაზე, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება 365 დღით. სარგებელი (პროცენტი) ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.

15.4. საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების მომენტიდან კლიენტს წარმოეშობა ყოველთვიურად გადასახდელი თანხის მიკრობანკისთვის გადახდის ვალდებულება. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, როგორც წესი, მოიცავს: სადაზღვევო პრემიის თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხულ სარგებელს.

15.5. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა გადახდილი უნდა იქნეს მიკრობანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

15.6. მიკრობანკს უფლება აქვს:

15.6.1.იმ გარემოებ(ებ)ის მნიშვნელოვნად შეცვლის შემთხვევაში, რომელთა არსებობის გამოც მიკრობანკმა მიიღო გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის დაშვების/გაზრდის შესახებ, კლიენტის

მიერ ამ ხელშეკრულებით ან საკრედიტო ლიმიტის დაშვების/გაზრდის განაცხადით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ან/და ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში კლიენტის წინასწარ შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს ბარათის მოქმედება ან გააუქმოს/შეამციროს/შეწყვიტოს საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლება ან/და კლიენტისათვის შეტყობინებით მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის (კრედიტის) დაბრუნება მისთვის დარიცხულ სარგებელთან და პირგასამტეხლოსთან ერთად კლიენტის მიერ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.

15.7.საბარათე ანგარიშზე საკრედიტო ლიმიტის დაშვებისთვის, უკვე დაშვებული ლიმიტის ვადის გაგრძელებისთვის, საკრედიტო ლიმიტის მოცულობის გაზრდისთვის ან საკრედიტო ლიმიტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისთვის კლიენტი იხდის საკომისიოს მიკრობანკის მიერ განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

16. დაზღვევა

16.1 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე www.diagency.ge.

ანგარიშის გახსნა	ტარიფი
მიმდინარე ანგარიში	უფასო
საბარათე ანგარიში	უფასო
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	უფასო
ვადიანი დეპოზიტის ანგარიში	უფასო
მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში	უფასო

ყოველთვიური მომსახურება	ტარიფი
მიმდინარე ანგარიში	უფასო
საბარათე ანგარიში	უფასო
ნომინალური მფლობელობის ანგარიში	უფასო
ვადიანი დეპოზიტის ანგარიში	უფასო
მოთხოვნამდე დეპოზიტის ანგარიში	უფასო

ბარათი	ტარიფი
ბარათის დამზადების საკომისიო	10 ლარი ერთჯერადი საკომოსიო
დაკარგული/დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო	10 ლარი ერთჯერადი საკომოსიო

გადარიცხვები მიკრობანკის შიგნით (ნებისმიერი ვალუტა*)	ტარიფი
თანხის გადარიცხვა საკუთარ ანგარიშზე მიკრობანკის სისტემის შიგნით მიმდინარე/სადებეტო საბარათე	უფასო
თანხის გადარიცხვა სხვის ანგარიშზე მიკრობანკის სისტემის შიგნით მიმდინარე/სადებეტო საბარათე ანგარიშიდან	უფასო
თანხის გადარიცხვა საკუთარ ანგარიშზე მიკრობანკის სისტემის შიგნით საკრედიტო საბარათე ანგარიშიდან	2% მინ 2 ლარი
თანხის გადარიცხვა სხვის ანგარიშზე მიკრობანკის სისტემის შიგნით საკრედიტო საბარათე ანგარიშიდან	2% მინ 2 ლარი

გადარიცხვები მიკრობანკის გარეთ და საბიუჯეტო გადარიცხვები (GEL)	ტარიფი
მიმდინარე/სადებეტო საბარათე ანგარიშიდან - თანხის მოცულობის მიუხედავად	0,50 ლარი
საკრედიტო საბარათე ანგარიშიდან - თანხის მოცულობის მიუხედავად	2 ლარი

თანხის შეტანა/გატანა	ტარიფი
ანგარიშზე თანხის შეტანა სერვის ცენტრიდან	უფასო
ანაგარიშიდან თანხის გატანა (განაღდება) სერვის ცენტრიდან	უფასო

ბარათიდან თანხის განაღდება პარტნიორი ბანკის ბანკომატებში	ტარიფი
ლარი	2%

დისტანციური მომსახურება	ტარიფი
SMS სერვისი	10 ლარი წლიური საკომოსიო

სხვა მომსახურება - საბანკო დოკუმენტები და ამონაწერები	**ტარიფი**
ცნობის გაცემა მისოს წინაშე დავალიანების არსებობის შესახებ ოფიციალურ ბლანკზე ამობეჭდილი	20 ლარი
მისოს წინაშე დავალიანების არსებობის შესახებ მონაცემების ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტის	უფასო
ცნობის გაცემა მისოს წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ ბანკის კლიენტისთვის	20 ლარი
ცნობის გაცემა მისოს წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ ბანკის არაკლიენტის'თვის	30 ლარი
ცნობის გაცემა დეპოზიტის/მოზიდული სესხის შესახებ	უფასო
ცნობის გაცემა ნებისმიერ აქტიურ საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ	10 ლარი
ცნობის გაცემა აქტიური საბანკო ანგარიშის არსებობის შესახებ	10 ლარი
ცნობის გაცემა ფულადი გზავნილების ტრანზაქციების შესახებ ოფიციალურ ბლანკზე ამობეჭდილი	10 ლარი
საგარანტიო წერილის გაცემა იპოთეკის მოხსნაზე	20 ლარი
საგარანტიო წერილის გაცემა გირავნობის მოხსნაზე	20 ლარი
ნებისმიერი ხანდაზმულობის ამონაწერის გაცემა	უფასო
ნებისმიერი ხანდაზმულობის საბუთის ასლის გამოთხოვა მოზიდულ სესხებთან დაკავშირებულ ოპერაციებზე	უფასო
საბუთის გაცემა პროგრამიდან ამობეჭდვის გზით 1 თვემდე ხანდაზმულობის ოპერაციებზე	უფასო
საბუთის გაცემა პროგრამიდან ამობეჭდვის გზით 1 თვიდან 2 წლამდე ხანდაზმულობის ოპერაციებზე	5 ლარი
საბუთის გაცემა პროგრამიდან ამობეჭდვის გზით 2 წელზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე	10 ლარი
ხელშეკრულების ასლის გამოთხოვა	უფასო
სალაროს დღიური საბუთებიდან ასლის გამოთხოვა 2 წლამდე ხანდაზმულობის ოპერაციებზე	10 ლარი
სალაროს დღიური საბუთებიდან ასლის გამოთხოვა 2 წელზე მეტი ხანდაზმულობის ოპერაციებზე	20 ლარი

***ვალუტები**	
GEL	ქართული ლარი
USD	აშშ დოლარი
EUR	ევრო
GBP	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი
TRY	თურქული ლირა